

საქსი

ეროვნული
ბიბლიოთეკა
1981

ნოვერი ეპლენება სპეხეთ ოსეთი სპეხოთა ხაინუზდენი რამეარენი 88-60 წლისთჳს



ნ. ჯ. ლომუასი

საზიარო სიგელირა

თამაშამ ლამაზი ყანწით წინაბრები აღ-
ლეგრძელა. პაპაჩემი მომაგონდა. ბევრი ამაგი
ჰქონდა ჩემზე!.. მოდი ახლა და, ნუ დაღვე!
გადავწყვიტე, ამ საღვთაგანს არ შეთქვა
უარი. მერე უფრო დიდი ყანწით მშობლების
საღვთაგანს ითქვა. ახალგაზრდაცვლილი მამა,
ავადმყოფი დედა!.. მოდი ახლა და, ნუ დაღვე!

მომდევნო დაძმების საღვთაგანს იყო.
სუფრას ჩემი ძმაც უჯდა. წინა დღეს რაღაცაზე
შეველაპარაკეთ. ვიფიქრე, არა თქვას, ჩემ ძმას
მართლა ვძულვარო და ესეც დაეცალე. მერე—
შვილების საღვთაგანს! მოგვხსენებთ, ბო-
ლომდე ისმება. ამას არასდროს ვლაპარაკობ,
გამიგებენ მიმები და... ესეც ასე! შემდეგში
ყანწი გაიზარდა, რადგან საღვთაგანს მალა-
მთებიან ცა-ფირუხ, ხმელეთ-ზურმუხტ სამშობ-
ლოს ენებოდა.

თამაშამ ლამაზად შეამყო ეს საღვთაგანს
და მოიყვანა მრავალი მავალით, თუ რამდენმა
ვაჟკაცმა გასწირა მისთვის თავი. მოდი ახლა და,
შენ, ვისაც თავი არ გაგიწირავს სამშობლოსა-
თვის, მათ საღვთაგანსაც ნუ დაღვე, ახ,
როგორც თამაშამ ბრძანა, ყანწს ნუ ამოაბრუ-
ნებ! მერე ომში დაღუპულები, გმირები, მთავარ-
სარდლები, მეზობლები, მეგობრები!.. ყველა
ახსენა და არა მხოლოდ ახსენა, არამედ დახატა
კიდევ საღვთაგანსებში. არც ერთი საღვთაგან-
სი არ უთქვამს ისეთი, რომ დაეცალე შე-
ყოყმანება მინც ყოფილიყო შესაძლებელი...

მეორე დღეს მე გახლდით მასპინძელიც და
თამაშაც. ვცდილობდი, წინაღობის თამაშს არ
ჩამოვჩინებოდა არც სმავი და არც საღ-
ვთაგანსების მხატვრულად თქმაში. აბა, წარ-
მოიდგინეთ, თუ მასპინძელმა — თამაშამ არ
დალია, სტუმრები როგორ დაღვევენ და მეც
შევეცადე... ყანწი ყანწით შევეცაღე, ფიალა —
ფიალით. ყველა საღვთაგანსის სათანადო სას-
მისი შევეურჩიე. მოდი ახლა და, ნუ დაღვე!

მესამე დღეს... მესამე დღეს თავის ძლიერმა
ტყვილმა გამაღვიძა. ხელის წაგდება მინდო-
და იმ ადგილზე, სადაც მტკიოდა და ბალიშს



მოდი და, ნუ დაღვე!..

იქით დავიწყე ხელების ფათური. როგორც იყო,
მოვქებნიე თავი და, როგორც წინაღობით ყანწს,
ორივე ხელი ისე ჩავეჭიდე. თვალები რომ
გავახილე, დედამისის ბუნებრივი ტრიალი
თვალნათლივ ვიხილე. არ ვისურვე ბუნების
იღუმალის მოწმე გავმხდარიყავი და კვლავ
დავხუტე თვალები. არ ვიცო, რამდენ ხანს ვიქ-
ნებოდი ასე, ჩემს „გამოსაღვიძებლად“ მეუღ-
ლეს რომ „სასწრაფო“ არ გამოეძახა.

ამჯერად დედამისის ბრუნვას ვეღარ ვამჩნე-
ვდი, მაგრამ მკლავში რომ ნემსი მიჩხვლიტეს,
ჩინებულად ვიგრძენი.

თავის ტყვილი? არც ეს იყო შეუმჩნეველი,
მაგრამ რატომღაც ექიმის გულის მუშაობით
იყო დაინტერესებული და თამადასავით მიბრძა-
ნებდა ხოლმე. ისუნთქეო! მივხვდი ყველაფერს,

ცივმა ოფლმა დამასხა მთელ ტანზე. სუნთქეო!
მიჭირდა, მაგრამ მოდი და, ნუ, ისუნთქეო! მერე
ალავერდი თეთრალათიან თანჯის ყოლგასთან
გადავიდა...

— ოთხი დიბაზოლი, ერთი პაპავერინი, ანა-
გინი, დიმედროლი!.. — გოგონა მორჩილებით
ასრულებდა თამაშის... ოხ, ბოდიში, ექიმის
ბრძანებას, თითებით მოხერხებულად მოამტვრია
რამდენიმე ამბულას თავი და ეს სიტყვები ერთ
ვეებერთელა ყანწში... ბოდიში, შპრიციში გადა-
ასხა. მერე ასევე ვეებერთელა ნემსი გაურკვე-
შპრიცს და მიბრძანა, გადაბრუნდიო! ალბათ, ეს
შპრიცი იმ დიდ ყანწს. გუშინ რომ მეჭირა.
ბევრად არ ჩამოუვარდებოდა. მაგრამ მოდი და,
ნუ გადაბრუნდები!.. შპრიცი ყანწით ისე
დაიცალა, როგორც მშობლების საღვთაგანსი.
ამას ის მოჰყვა, რომ ათნაირი წამალი გამომი-
წერეს და მეუღლე გამიფრთხილეს, თუ ამ წამ-
ლებს არ დაღვევსო, ასე იქნება და ისე იქნება!

„ვაი!“ — გავიფიქრე, უამრავი ხალხის მად-
ლეგრძელეებს ეს რა მემართება-მეთქი, მაგრამ
თურმე „ვაი“ და „უი“ ვეღარ მშვევლოდა.
წამლები იყო საჭირო.

ვინც ვაღვებრძელე — ნათესავი, მეზობელი
თუ მეგობარი... ახლო არავინ გამეყარა. არადა,
ყველა წამალს სად იშოვი აფთიაქში?! ისეც
მეუღლე, რომელიც ერთადერთი იყო, ვისც
უღვთაგანსებელი დამრჩა, მიდგა-მოდგა და სა-
წოლთან მოდგმული პატარა მაგიდა წამლებით
ამივსო. თანაც ამისხნა: ეს გულისაა. ეს თა-
ვის, ეს სისხლ-ძარღვებისაო!.. ყველაფერი ეს
იმიტომ ქნა, რომ მე კვლავ კარგად ვყოფილი-
ყავი. მე, და არა — სხვა! ოხ, რა მწარეა წამლე-
ბი! ერთიმეორეზე ძნელი დასაღვეია! ერთი კი
გავიფიქრე, რაც შეიძლება ნაკლებს დავღვე-მეთ-
ქი, მაგრამ ის ერთიმეორეზე მწარე ერთიმეო-
რეზე საჭირო ყოფილა! მოდი და, ნუ დაღვე!
ჰოდა, სხვისი საღვთაგანსი ყანწებით რომ
ვსვი, ჩემს საღვთაგანსოდა ამბულაზე ვცალე!

გიორგი სასაგოვენი

„მანათის სასუქ კომპლექსში გასულ წელს სუქება-
ზე დაყენებული 1500 სულიდან 505 დეკლუი აღმოჩ-
ნდა. ეს მაშინ ხდება, როცა სულადობის გეგმა არ
სრულდება.“

(გაზეთებიდან)

რეკლამა ასავენი

ცკიპურები

როდესაც ცოლი გარდაეცვალა, მოტყდა, კინაღამ უმტყუნა გულმა!..
ქელეხში დათვრა, მოსულიერდა, კიდევ იმღერა გალალეზულმა!

— მაღალი პოსტი მიჭირავს, ძმაო, ამდენი განა ამოდ დავშვრე?!
— მაღლა ჩიტებიც ფრინავენ, მაგრამ მათ არაფერი უყრიათ თავში!

— სუსტია შენი პიესა! — ლანძღვა-გინებით აიკლეს.
— არავინ რომ არ ესწრება, სისუსტე როგორ გაიგეს?


— ჯერ გავგვწურა შენი რომანი, საჯაროდ მერე გამოგვეტანა?!
თუმცა, ო, არა! წყალიდობისგან წაილეკება მთელი ქვეყანა!

სულ არ აწუხებს საქვეყნო საქმე, ლოთს მოუტყურია გადაკვრა უკვე!
ჩვენთვის შვიდი დღე თუა კვირაში, მისთვის რვა დღეა და ყველა —
უქმე!

— მახსოვს, სწორ გზაზე იდექი წინათ, ახლა მრულ გზაზე დაიდე
ბინა?!..
— ბეწვზე გადავრჩი! იმ პირველ გზაზე წინ შავმა კატამ გადამიბრძინა!

ოსურიდან თარგმნა ავთანდილ გურგენიძემ

ნ.ბ. ა. კანდელაკისა



ს.კ. 87

— მამ საბჭურს რა თავში ვიხლი.
თუ შნო გაძვს, ალკური იალაღების საბ-
ჭური გიშოვ, ორი წლისა ვსრულდები
და ჯერაც არ ვყოფილვარ იმ!..



რა უფრო ტკბილია?

შეკრებილიყვნენ ფრთოსნები,
მხეცნი, პირუტყვნი ერთად,
კრებას არავინ არ აკლდა,
იდგა ბზული მწერთა.

ცხარე კამათი შექმნოდათ,
საჭირბოროტო მეტად:
ქვეყნად რა უფრო ტკბილია?
(ვინ რას აირჩევს, ნეტავ?)

ზოგმა ნისკარტი წამოჰყო,
ზოგმა — ნესტარი ბასრი:
ყველას სურს, დამსწრეთ აცნობოს
თავის გულწრფელი აზრი.

ხარმა თქვა: „დარშიც, ავდარშიც,
სიცხე არის თუ ცივა,
ყველაზე ტკბილი საზრდოა
მხოლოდ და მხოლოდ თივა!“

მტრედმა თქვა: „პურის მარცვლისა,
აბა, რა არის მსგავსი?
ყველაფერს მეტობს ამ ქვეყნად
პურის სიტკბო და ფასი!“

„რა შეედრება ქათმის ხორცს?“ —
წამოიფოფრა ქორი;
დაუდასტურა მელიამ —
„მომწონს ეგ აზრი სწორი!“

ლორმა თქვა: „რკოს რა სჯობია?
ღმერთმა დალოცოს იგი!
თუმც მადიანად ნეხვშიაც
ხშირად წამიკრავს ღინგი!“

და მწვავედებოდა საკითხი —
გადასაწყვეტად ძნელი:
კრებაზე არავინ არ ჩანდა
სრული სიმართლის მოქმელი.

მხოლოდ ტუჩთაფლა ფუტკარი
აფრენილიყო მალა,
თავს დაბზუოდა შეკრებილთ,
ფრთებში არ გრძნობდა დაღლას.

და როგორც მეფემ მწერების,
მანაც გამოთქვა აზრი:
„მე, თუ სიმართლე არ გითხრათ,
მომტყდეს ნესტარი ბასრი!“

არ მომწონს, არ შემერგება
ნაყოფი სხვისი შრომის!
არ ვიცი, მას რა გემო აქვს,
არცა ვარ მისი მდომი!

ფუჭია თქვენი მსჯელობა
და ეგ კამათი გრძელი!
თაფლი ყველაზე ტკბილია —
ნაშრომი ჩემი ხელის!“

თარგმნა გიორგი კალანდარიძე

ოსი ვარ!..

დღე ისე არ გაივლის, რომ მათემ არ
თქვას:

— მე ოსი ვარ!
ამაზე მას არავინ ეკამათება. მათე ხომ
მართლა ოსია. ზოგნი აქებენ კიდევ, მას
თავისი სამშობლო და ხალხი ძალიან უყ-
ვარსო!

მართალია, უფრო ხშირად მათე მაშინ
ამბობს, მე ოსი ვარო, როცა მისი სურვი-
ლის სანინაღმდეგოდ კეთდება რამე.

მას, მაგალითად, ერცხვინება შვილი
ქუჩაში გაასეირნოს.

— მე ოსი ვარ! — ამყად ეუბნება
ცოლს და მიანია, რომ ამით ყველაფერია
ნათქვამი.

ერთხელაც მთელი ოჯახი ნათესავებთან
გამგზავრა, ცოლი შეეხვეწა:

— მათე, ლამის მკლავები დამანყდეს,
ცოტა ხნით მაინც აიყვანე ბავშვი!

— ვინ?! მე?! — აყვირდა მათე და დამ-
ცინავად გადახედა ცოლს, — მე ოსი ვარ!

— შენი აზრით, მე ვინა ვარ, ცხვარი?
— განიწმამდა ცოლი.

— ბავშვის ტარება კაცის საქმე არ
არის! — აუხსნა მათემ, — როგორც ვირს
ცხენის უნაგირი არ უხდება, ისე ოს კაცს
— ბავშვის ტარება!

მალე მათ კოლმეურნეობის აგრძობი
კაური ნამოენია.

— ვხედავ, დაღლილხართ, — უთხრა

მან მათეს ცოლს, — დამდეთ პატივი, მე
ვატარებ თქვენს ვაჟს!

მათემ, რომელიც ჩვეულებისამებრ წინ
მიდიოდა, ვერც კი მოასწრო უკან მოხედ-
ვა, რომ კაურმა ხელში აიტაცა ბავშვი.
ერთხანს მათემ უწინდებურად წინ იარა,
მაგრამ მერე ნაბიჯი შეანელა და ცოლის
გვერდით აღმოჩნდა.

ნაცნობები ესალმებოდნენ და უკვირ-
დათ, განა რა მოხდა, რომ კაურს მათეს
ვაჟი მიჰყავსო.

ხოლო ხუმარა და წინამასწარა ცამელ-
მა ველარ მოითმინა და მთელი ქუჩის
გასაგონად იყვირა:

— ეი, მათე, შეილზე თუ უარს ამბობ,
ადექი და ცოლზეც აიღე ხელი!

მათეს სიბრაზისაგან ვარდები აუყვავდა
ლოყებზე.

— გეყოფა! — მივარდა კაურს და ბავ-
შვი გამოსტაცა, — მე ოსი ვარ! — თქვა
და აღმაცურად გადახედა ვაჟიშვილს, —
და ესეც ოსია!

— ბოლოს და ბოლოს, მე ვინა ვარ?
— იკითხა ცოლმა.

— შენ ოსის ქალი ხარ!

კაური არ შეჰკამათებია — მადლობა
ღმერთს, ახლა ამ ქვეყნად სამი ოსია: მა-
თე, მისი ცოლი და შვილი!

თარგმნა ელგუჯა მირაბიშვილი



ლიახვის ჭრელი ვალეები

ბანაოვის სეზონის დაწყებას-
თან ერთად, მდინარე ლიახვის შუა-
წელზე იხსნება შინაური ცხოველ-
ფრინველების შესაღებავი პუნქტები.
თუ სურვილი მოგებალათ, რომ თქვენს
ნაცნობ-მეგობრებს ზებრაზე ამხედ-
რებულმა მოაწონოთ თავი, შეგიძლი-
ათ, წინასწარ შეღებოთ თქვენი ცხე-
ნი ან სახედარი ლიახვში, იმ ადგი-

ლას, სადაც ცხინვალის ავტოსარე-
მონტო და საქალაქო სარემონტო
კანტორის ასფალტის ქარხნების ჩამ-
დინარე წყლები ერთვის მის ტალ-
ლებს, ხოლო ვისაც სურს, თავი მოი-
წონოს როგორც გულუხვმა მასპინძე-
ლმა და სტუმრებს ფართო ასორტი-
მენტით შესთავაზოს უცხო ფრინვე-
ლის ხორცი, მას შეუძლია, იმავე
ლიახვში წინასწარ შეღებოს ბატები
შავ გედებად, ინდაურები — ფარშა-
ვანგებად, ოლონდ სხვა ადგილას: იქ,
სადაც სამხრეთ ოსეთის № 4 საგზაო-
საექსპლუატაციო უბნის, № 13 სამ-
შენებლო-სარემონტო სამმართველოს
ასფალტისა და ქიმიური ქარხნები აჭ-
რელებენ წყალს!

იჩქარეთ, მეგობრებო! მართალია,
ჯერჯერობით 11 სამრეწველო საწარ-
მო ემსახურება თქვენს მოთხოვნებს
თავიანთი ჩამდინარე წყლებით, მაგ-
რამ ერთიც ვნახოთ და, მოაფიქრდეთ
მათ ხელმძღვანელებს გამწმენდი ნა-
გებობების აშენება?! — მერე საით
გინდათ, ნახვიდეთ?!

ნომერი მოამზადა „ლიახვის“ სპეციალურმა კორესპონდენტმა
ელგუჯა მირაბიშვილმა, მხატვრულად გააფორმეს ალექსანდრე
ვანაძემ და ჯამალ ლოლუშამ; მეგობრული შარუები გიგლა
ფირცხალაშასი

7-81

მსური ხალხური იუმორი

პანის ენა

სირდონის ცხვარი

ქვემოთ მითხვება გადაწყვეტა, მთებში გაეშენებინა ვენახები. სთხოვეს თავიანთ შეგობარ ქართველებს ნერგები და დარგეს ისინი იმ ადგილას, სადაც თბილა.



ქი მწვანე და მთავე მტევნები ასხია. იფიქრებს სათიკლემბა, იფიქრებს. თუ რატომ არ მწიფდება ეს ურბენი და ერთი მათგანი მიხვდა: — იცი, მეზობლებო, რაშია საქმე? ვაზისთვის მშობლიური ენა ქართულია, ჩვენ კი მას ოსურად, რაც უნდა დაუვავებოთ ველაპარაკოთ, მაინც ვერ გაგვივებს და, ალბათ, ამიტომაც არ დამწიფდა!

როგორ განსტუმრავ სირდონმა ვალი

როგორღაც, სირდონმა ერთ მდიდარს რამდენიმე ვერცხლის მანეთი გამოართვა სენხად. ვალის გადახდის დრომ მოაწია, მაგრამ საწყალ სირდონს ვერაფერ არ უკუაოდა ჩიბეში.

ერთხელაც შედევს, მოდის მისი მეგაღე სულთამხუთავით, სირდონი მაშინვე წამოხტა, აიღო წერაქვი და მღინარესთან დღეის გათხრა დაიწყო. გაკვირვებული მეგაღე მიუახლოვდა და ჰკითხა, აქ რას აკეთებ?

სირდონმა უპასუხა: — როგორ თუ რას ვაკეთებ? ვალი მინდა, დაგებო რუნო! ხედავ, დღეს ვთხრი, წყალი წამოვა, მის ნაპირებზე ეკლიანი ბუჩქნარი გაიზრდება, მერე მოვლენ სხვისი ცხვრები წყლის დასაღვად, მატყლს მატყლზე დატოვებენ, მე კი მოვაროვებ, მატყლისგან თბილ წინდებს დავქსოვ, გავყიდი და შენს მანეთებს დაგიბრუნებ! რა გინდა, ძმაო, იღბალი გქონია!

რძალი კი არა, ბანერალია!

მოხუცი მთიელი ქალი საცხოვრებლად ქალაქში გადავიდა თავის ვაჟთან და რძალთან, რომელსაც ძალიან უყვარდა საბრძოლო ფილმების ურება და ძალიან არ უყვარდა დედამთლი.

მოხუცმა ქალმა ვეღარ აიტანა რძლის შარბანი საქციელი და ერთხელაც ჰკითხა: — ნუთუ, არ მოგწონდა დედაბრის ლანძღვა?! რძლის დამანებებ თავს?!

— მალე, მალე, ძვირფასო დედამთილო! აი, დაქორწინდება ჩემი ვაჟი და ცეცხლს ჩემი რძლისაკენ მივაბრუნებ, შენ კი გვერდზე დარჩები, ნეიტრალურ ზონაში. მხოლოდ გაფრთხილებ, ნეიტრალიტეტი უნდა დაიცვა, როგორც მიუმხრობელმა სახელმწიფომ. თუ არადა, შენც ცუდად წაგივა საქმე!

მოხუცმა ქალმა რიგინად ვერაფერი გაიგო, მაგრამ შინც სთხოვა თავის შვილიშვილს: — შვილო, ჩემი გულის გულო, გააკეთე ისე, რომ



შენი ბებო მოხვდეს ქვეყანაში. რომელსაც ნეიტრალური ჰქვია, არც ვიცი, სად არის ის ქვეყანა, მაგრამ არ დავებებ, ოღონდ დედაშენს გადავურჩე... ის ნამდვილი ბენერალია, მე კი ომი აღარ მსურს, მოხუცებული ვარ ომისათვის!

ნართები მამაცი ხალხი იყო, უყვარდათ სხვათა დარბევა, ხმლითა და ისრით დოვლათის შოვნა მხოლოდ მახვილგონიერი სირდონი არახოდეს დადიოდა სალაშქროდ, იარაღს ხელს არ ჰკიდებდა, ამიტომაც ღარიბად ცხოვრობდა. მთელი მისი ავლადიდება ერთი კარგად მოვლილი ცხვარი იყო, რომელსაც ხელით აკმევდა...

ერთხელ ნართებს ხელი მოეცარათ, ცარიელები დაბრუნდნენ. დალილიბმა და მზივრებმა გადაწყვეტეს, სირდონის ცხვრით ჩეგემჩრეილებინათ პირი. ადგნენ და უთხრეს: — ძმაო სირდონ! მოდი, შენი ცხვარი დავკლათ და ვიქვიფოთ. სულ ერთია, ხვალ ქვეყნის აღსასრული უნდა დადგეს, უკვლანი დავიღუპებით და, აბა, ცხვარი რაღა დასანანიო?!

— მართალს ამბობთ! — უპასუხა დამწუხრებულმა სირდონმა და იქვე დაკლა ცხვარი, ცეცხლი გააჩაღა და ქვაბიც შემოღდა.

ნართებს გაეხარდათ, რომ ასე იოლად დაიყოლიეს სირდონი, გაიხადეს ტანსაცმელი და გახარებულები მდინარეში შეეცვივნენ საბანაოდ.

სირდონს აღარ დაუყოვნებია, მათი ტანსაცმელი ცეცხლში ჩაყარა, ქვაბში კერძი უფრო მალე წამოღულდებოდა.

მალე ნართები მდინარიდან ამოვიდნენ, ხორცი უკვე მოიხარშებოდა, და ჩაცმა მოინდომეს, მაგრამ ტანსაცმელი ვეღარ იპოვეს. სირდონს შეეკითხნენ, რა იქნა ჩვენი სამოსიო? მან უპასუხა: — ტანსაცმელი რიდასთვის გვირდებოთ? ხვალ ხომ ქვეყნის აღსასრული დგება?! ცხვრის ხორცს ტიტვლებიც კარგად შევამთ, საიქიოში წახვლა კი მსუბუქად აკობებო!

როგორ გადაამება ვაჟიშვილმა მამას

ერთ სოფელში ცხოვრობდა მეტისმეტად ზარბაცი კაცი. ადგომა და ეზოში გახვლაც კი ეზარებოდა. ერთი იმედოვანი ჰქონდა — იქნება, ვაჟიშვილმა მიშველოს, მარტყათიანი გაიზარდოსო. მაგრამ, ეტყობა, მართალი უთქვამს ხალხს, ალუჩა ურბენს არ მოიხსამბო...



ზამთრის ერთ დღეს მამა და შვილი შუაღაცხლთან იხსდნენ, მამას მოუნდა, გაეგო, გარეთ თოვლი მოდიოდა თუ მზიანი ამინდი იდგა. სხვას რას იზამდა? — ვაჟს უთხრა, გადი გარეთ და გაიგე, მოდის თუ არა თოვლიო.

ვაჟმა უქმყოფილოდ ჩაიბუჭლუნა: — ახლავე გავიგებ, მამა!...

წამოდგომამაზე არც უფიქრია, ხმამაღლა გასძახა ქოფაკს. ქოფაკი კი ისეთი შავი ჰყავდათ, იტყოლი, ჭვარტში უგორავებიათო. ძაღლმა კარს დარუნჩი ჰქრა და სახლში შემოვიდა. ვაჟიშვილმა შეხედა ქოფაკს და თქვა: — მამა, გარეთ თოვს!

— საიდან იცი, შე ზარბაციო? — გაბრაზდა მამა, — სკამიდან ასადგომად წელი გწუდება!

— მამა, — წყნარად მიუგო ვაჟიშვილმა, — თოვლი მოდის თუ არა, ამას ჩემს წელთან რა ეხაქმება, თვალები მაქვს: ჩვენი ქოფაკის ზურგზე, ხედავ, რამდენი ფიფქია? ჩანს, თოვლი მოდის!

81-336
საბირისა და ტაშისი
პურნალი „ნიანგი“
№ 9 (1595) მაისი
გამოდის 1923 წ. ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:
ვაჟა ამირეჯიბი, ნოზლი ბარბაქაძე, გიორგი გურგულიანი, ნოდარ ლუმაბაძე, რევაზ თვარაძე, ჯემალ ლოლუა, ნოდარ მაღალაშვილი (მხატვარი-რედაქტორი), ბაჟან სინარულიძე (პასუხისმგებელი მდივანი), ალექსანდრე სამსონია, გიგლა ფირცხალავა, ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წიგვიშვილი, ვაჟა ზანიშვილი (მთავარი რედ. მოადგილე), ნაზი ჯუსოიტი.

ტექნიკური რედაქტორი შიხილ კუსალაშვილი

გადაცვა სასაქმობად 7. 4. 81 წ. ხელმოწერილია დასაბამად 14. 5. 81 წ. ძალადის ზომა 70x108 1/2 ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბანი 1,7 საქართველოს კვ ც-ის გამომცემლობა ლენინის ქ. № 14, შეკვეთა № 1034 უმ 00690 ტირაჟი 150.950. უფრალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციოში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

ჩვენი მისამართი: 380008, თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი, № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 93-62-04, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მე მდივნის — 93-10-78, მხატვარი-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილება გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივანი-მემბანების — 99-76-69.

Сатирико-юмористический журнал «НИАНГИ» (На грузинском языке) Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14. Фанси 20 333030 ინდოქსი 76137

შეკრება ნაზი ჯუსოიტმა
თარგმნა ელგუჯა მერაბიშვილმა